ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №49

27 იანვარი 2025 წელი

13:00 საათი

ა/წ 27 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. მარიამ გელაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №2) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.
დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება), კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №2) მე-2 და მე-3 მუხლებში. კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით ზუსტდება, თუ ვინ იქნებიან ქვეპროგრამის მოსარგებლეები. მოსარგებლეებად განისაზღვრებიან, ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 1 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და ამასთანავე აკმაყოფილებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ბოლო 1 წლის განმავლობაში, უწყვეტი რეგისტრაციის პირობას.
წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ფულადი დახმარება განსაზღვრულია 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ფულადი დახმარება განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით.
წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში. განცხადების წარდგენისას, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას ემატება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომელიც შეიცავს პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

დადგენილების პროექტის ხმის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია - ,,წინააღმდეგია" დააფიქსირა ფრაქცია ,,ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის" წევრმა ვახტანგ სურგულაძემ. ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა დამსწრე წევრებმა აღნიშნულ საკითხს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 1
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე